სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ მიიღო ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 25.02.2025. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით და სერბეთის უწმინდესი პატრიარქის პორფირეს მიწვევით, 2025 წლის 24 თებერვალს ბელგრადში სამუშაო ვიზიტით ჩავიდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი.

აეროპორტში სსკგ-ის თავმჯდომარეს შეხვდნენ სერბეთის პატრიარქის ვიკარი, ხვოსტანის ეპისკოპოსი ალექსი; სერბეთის პატრიარქის კაბინეტის ხელმძღვანელი, დეკანოზი გეორგი სტოისავლევიჩი; ბელგრადში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის წინამძღვარი, დეკანოზი ვიტალი ტარასევი.

მიტროპოლიტ ანტონის მოგზაურობაში თან ახლავს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის მრჩეველი, დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი.

25 თებერვალს სერბეთის საპატრიარქოში უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ მიტროპოლიტი ანტონი და დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი სერბეთის საპატრიარქოში მიიღო. საუბარში ასევე მონაწილეობდნენ ბაჩის მიტროპოლიტი ირინეოსი და დეკანოზი გეორგი სტოისავლევიჩი. განხილულ იქნა მოსკოვისა და სერბეთის საპატრიარქოებსა და რუსეთისა და სერბეთის ხალხებს შორის ძმური თანამშრომლობის საკითხები, ასევე მართლმადიდებლურ სამყაროში არსებული ვითარება.

ფოტო ***სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საიტიდან***

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92915/